გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონ

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—14)



ქართული თეატრი

სამშაბათს, 3 ოქტომბერს

ქართულის თეატრის არტისტები

წარმოადგენენ:

I

**უნდა გავიყარნეთ**

კომედ. 3 მოქმ., თხზ. ვ. სარდუსი

II

**სცენები**

„მიროვოე სუდიასთან“

ერთ მოქმედ., თხზ. დ. სოსლანისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, კახიძისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.


## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, ბორჯომიდგან ტფილისში ჩამობძანდნენ საგანგებო მატარებლით მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული. რკინის გზის სადგურზედ მათ უმაღლესობათ მიეგება მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი თ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი და სხვანი წარჩინებულნი. გუშინ, 29 სექტემბერს, მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა ამიერ-კავკასიის სამეურნეო გამოფენა და პირველი საათი იქნებოდა, რომ უკანვე დაბრუნდა სასახლეში. მისნი უმაღლესობანი დღეს, 30 სექტემბერს, აპირებენ ბორჯომშივე წაბრძანებას.

*** გუშინ-წინ, 28 სექტემბერს, ქართულს თეატრში ფორკატის საოპერეტო დასმა წარმოადგინა: „მშვენიერი ელენე“, სამ-მოქმედებიანი ოპერეტი. თვით ელენეს როლს თამაშობდა ქ-ნი რატმიროვისა და ჩვეულებრივ თავი მოაწონა საზოგადოებას. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ლოდი პარისის როლში და ბ-ნი ბიაზი— კალხასისაში. წარმოდგენას საკმაო ხალხი დაესწრო. დღეისთვის წარმოსადგენად დანიშნულია სამ-მოქმედებიანი ოპერა-ბუფი ლეკოკისა „ბოკაჩიო“ და ბიაზე ლამბერტუჩიოს როლში ახალს კუპლეტებს იმღერებს „ჩემი არა ბრალია“. თვით ბოკაჩიოს როლს ითამაშებს ქ-ნი რატმიროვისა, ხოლო ფიამეტასას — ქ-ნი მილიუტინისა.

*** ვინ მოსთვლის რამდენჯერ ყოფილა გამოქვეყნებული მატყუარობა და ოსტატობა მკითხავებისა, რომლებიც სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ დაძრწიან და ხალხსა ჰფცქვნიან. ამისდა მიუხედავად ეს გაქნილი მკითხავები ხან აქ ამოჰყოფენ თავსა და ხან იქ და მსხვერპლს საკმაოდ ბევრს ჰპოულობენ. საკვირველი ის კი არ არის, რომ სოფლის უმეცარს ხალხს ატყუებენ, არამედ ის, რომ ზოგჯერ ისეთებსაც გამოსდებენ ხოლმე კლანჭს, რომლებიც თავიანთ თავს განათლებულებად სთვლიან და ამიტომ ცრუ-მორწმუნეობის მიმდევართ დასცინიან. აი, ამ 28-ს ამ თთვისას, ორი მკითხავი დედაკაცი მობრძანდა ერთს ოჯახში კოჩუბეის ქუჩაზე, სახლში ახალგაზდა ქალი დაჰხვდათ, რომელსაც იმდენი სწავლა-განათლება მიუღია, რომ მკითხავებისა არა უნდა სწამდეს-რა. მკითხავებმა სთხოვეს ამ ქალს, სტუმრებს უთხარი ოთახიდგან გავიდნენო. როცა ქალი მარტო დარჩა, მოატანინეს სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთი, ტანსაცმელი, ხორბალი, ნახშირი, წყალი და ვერცხლის ფული. ტუჩები კარგა ხანს აცმაცურეს. შემდეგ ფული ხელში აიღეს, ზოგი ნივთი ტანსაცმელში გამოიხვიეს, თითონ იმ ქალს გამოასკვნევინეს და უთხრეს: ამას სახლში წავიღებთ, იქ გიკითხავთ და ხვალ დილის რვა საათზე დაგიბრუნებთო. ახალგაზდა ქალიც დასთანხმდა. წავიდნენ მკითხავები და დღესაც არ დაბრუნებულან. ქალი-კი ეხლა გაიძახის: ეს რა მომივიდა, განა არ ვიცოდი, რომ მკითხავები მატყუარები არიანო.

*** ვინ არ იცის, რომ ტფილისელი ნოქარები მეტად გაჭირებულს ყოფაში არიან, დიდი შრომაც აქვთ და ამასთანავე მცირე სასყიდელი ეძლევათ, ასე რომ, ცოლ-შვილიანს ნოქარს-კი არა, უცოლ-შვილოსაც ძალიან უჭირს ცხოვრება. სახსარი არა აქვთ შვილები აღზარდონ, გაჭირებულს ამხანაგებს დახმარება აღმოუჩინონ და სხვანი. როგორც ეტყობა, თვით ნოქარებსაც უთხოვებიათ ყურადღება თავიანთ მდგომარეობისათვის და განუზრახავთ თავისს თავს უშველონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ნოქრებს აზრად აქვთ დააარსონ ამხანაგობა. ამ ამხანაგობას აზრად ექნება დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ ნოქარებს, ნოქარების ქვრივებსა და ობლებს და სხვანი. რა თქმა უნდა, რომ ეს განზრახვა ფრიად კეთილი და საპატიოა და ამიტომ სასურველია, რომ ტფილისის ნოქარებმა თავიანთი აზრი საქმედ აქციონ.

*** გეგუთი: ამ სოფლის საზოგადოებას აქამომდე ერთი ბორანიც არა ჰქონდა რიონზე და ძალიან გასაჭირიც იყო მისვლა-მოსვლა, დღეს კი ორი ბორანი აქვს ერთი-ერთმანეთის გვერდზე და უიმისოთაც ცხოველი მისვლა-მოსვლა უფრო გაცხოველდა სიადვილისა გამო. საინტერესოა ამ ბორანების გამართვა. ამას წინად ერთმა კერძო კაცმა სთხოვა ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს ნება მიეცა გეგუთის ბორანის გამართვისა. ბ-ნმა გუბერნატორმა დაჰრთო ნება. ცოტა ხანს ბორანი გაიმართა და ხალხი დადიოდა ზედ ცოტა დაწესებულის ხარჯის გადახდით. სოფლის საზოგადოება ძალიან ჩააფიქრა იმ გარემოებამ, რომ ბორანის შემოსავალი უცხო კაცის ხელში მიდის და სოფელს-კი არავითარი შემოსავალი არა აქვს ამ საქმიდამაო. გეგუთელებმა მიჰმართეს ბ-ნ გუბერნატორის თანაშემწეს თხოვნით, რომ აეკრძალოს უცხო კაცს ბორანის გამართვა, რადგან სოფელს თითონ უნდა გაიკეთოს საკუთარი ბორანიო. რადგან ბ-ნი გუბერნატორი სხვაგან იყო, მისმა თანაშემწემ ვერ გააუქმა წინანდელი ნება რთვა, ხოლო სოფლელებს უთხრა, რომ თქვენც შეგიძლიანთ გაიკეთოთ საკუთარი ბორანიო. გეგუთელები მაშინვე შეუდგნენ ამ საქმეს და ადრინდელ ბორანის გვერდზე გააკეთეს ახალი ბორანი. ეხლა ამ სასოფლო ბორანმა ერთიან გაუწყვიტა საქმე წინანდელს ბორანს, რადგან უფრო უკეთესიც არის და მუქთადაც გაჰყავს და გამოჰყავს მიმსვლელ-მომსვლელი. უეჭველია, მუქთად ატარებს მსურველს იმ დრომდე, ვიდრე კერძო კაცი დაშლის თავისს ბორანს და ერთიან აიღებს ამ საქმეზე ხელს, რაიცა უეთუოდ უნდა მოჰხდეს, რადგან სოფელთან ვერ გასწევს ცალკე ერთი კაცი და ქიშპობას ვერ მოახერხებს. შემდეგ ამ ბორანზე დააწესებს სოფელი ხარჯს და გაიჩენს ახალს წყაროს შემოსავლისას, რომლითაც გაუძლევება სხვა-და-სხვა საჭიროებას.

*** ქედა-აჭარა: 25 ამ თთვისას, შუადღისას, სოფ. ქედაში ჩამობრძანდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და სადილი მიირთვა აჭარის უფროსის სახლში, სადილს შემდეგ ახლო-მახლო ტყეები დაათვალიერა და თავისს მოხელეებს ზოგიერთ ფუხარის

## ფელეტონი

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

მეოთხე მოქმედება*)

სცენის მოწყობილობა მეორე მოქმედებისაა.

I

პროპორიევი (მარცხნივ შემოდის) და შემდეგ არინა.

პროპორ. (მარჯვნივ გადავა და კარებს დააკაკუნებს) ბატონო ნინო!

არინა (კუდისიდგან) შინ არ არის.

პროპორ. მაშ სად წავიდა?

არინა (თავს გამოჰყოფს კარებიდგან) ჩვენსას.

პროპორ. (გაოცდება) სად თქვენსას? რატო ეგრე ყაფაზიდგან მებაასებით? აქ გამობძანდით.

არინა. უკაცრავად, არ შემიძლიან, კოფტითა ვარ.

პროპორ. აჰ, რა მოურჯულებელი კეკლუცია! ნუ გეშინიანთ, მე მშვიდი კაცი ვარ (არინა გამოდის) ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, სად ჩვენსას წავიდაო?

არინა. რასაკვირველია, ქმრისას. მაგას რაღა კითხვა უნდა!

პროპორ. ვითომ კითხვაც-კი აღარ უნდა? მერე როგორ მოხდა ეგ ამბავი?

არინა. სულ უბრალოდ: შეურიგდნენ ერთმანეთს. მოვიდა სერიოჟა ჩვენსას და ყველაფერი, როგორც რიგი იყო, მოილაპარაკეს. პირველში დიდი ალიაქოთი აუტყდათ, ძალიან დიდი. ისიც-კი ვიფიქრე, რომ იქნება-მეთქი... ხომ გესმით? ან რა საკვირველი იქნებოდა იმის განადირებულ ქმრისაგან? შემდეგ-კი უფრო და უფრო დაწყნარდნენ და, მადლობა ღმერთს, საქმე დამში წავიდა.

პროპორ. (შეშფოთდება) შენ, ჩემო კარგო, როგორღაც სტყუი მგონი.

არინა. სულაც არა ვსტყუი. მართალია, ბოლოს და ბოლოს ვეღარ გავიგონე კარგად იმათი ლაპარაკი, რადგან შკაფში ვიყავ დამალული.

პროპორ. შიშისაგან განა?

არინა. მერე ვის არ შეეშინდება! იმ ხელა ვაჟკაცია და მერე ისიც პროვინციაში ცხოვრებით განადირებული. იმისთვის არაფრადა ჰღირს, რომ ერთი... (ხელით ანიშნებს) დილით არ მეშინოდა, იმიტომ-რომ თავის ქალთან ვერას გამიბედავდა, მაგრამ აქ-კი სასტუმროში ვართ... განა ცოტა შემთხვევა ყოფილა, რომ სასტუმროებში ხალხი ჩაჰხოცოთ.

პროპორ. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია, შენ ალბად შიშმა გადაგრია და სულ სხვა შემოგესმა.

არინა. გინდა დამიჯერეთ და გინდა ნუ, მე-კი ძალიან მიხარიან-და.

პროპორ. (ჩაიცინებს) მერე რა გახარებთ აგრე?

არინა. როგორ თუ რა, რასა ბრძანებთ! განა მესიამოვნებოდა, ჩემს ღვიძლს ქალს, მერე ისეთს ლამაზსა და კეთილს, ასეთს მდგომარეობაში რომ ვხედავდი.

პროპორ. აგეთი აზრი თქვენს ჭკუასა და გულ-კეთილობას ამტკიცებს... მერე, ნინო სულ ერთიანად გადავიდა თქვენსას, თუ კიდევ დაბრუნდება?

არინა. მგონი კიდევ შემომივლის. აბა ეხლა კი, უკაცრავად, მეჩქარება, ბარგის ჩალაგება დავიწყე, რომ დღესვე... (მარჯვნივ ელენე შემოდის) აჰ! (კოფტას გულზედ მოიფარებს და გავარდება) უკაცრავად, რომ ასე აჩოჩილი დაგხვდით, ეხლავე გიახლებით. (დაიმალება)

II

პროპორიევი და ელენე

პროპორ. ვახლავართ.

ელენე. გამარჯობათ... ელენე შინ არის?

პროპორ. არ გახლავთ. მეც მინდოდა იმის ნახვა, მაგრამ აქ არ დამიხვდა და აგერ, ირინესთან გავები ლაპარაკში.

ელენე. მაშ რა მეშველება? ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ პოლიცმეისტერიდგან ვერასთან შეიარე და იქ მოიყვანე-მეთქი, ერთი და ერთი უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა გვარ მოვიქცეთ და როგორ ვიმოქმედოთ, ხომ იცით, რომ გუნდას მანამ უნდა ჩაკვრა, სანამ თოვლი ცხელიაო.

პროპორ. მართალსა ბრძანებთ, მშვენიერი სისტემა გახლავთ!

ელენე. (ჩამოჯდება) თერთმეტს ალაგას ვიყავი და დავრწმუნდი... უჰ, რა ცხელა!.. იმ აზრს დავადექი... თუ ღმერთი გწამთ, ერთი ჭიქა წყალი მასვით... (პროპორიევი სწრაფად მიაწვდის წყალს. ელენე თვალ-წარმტაცის ღიმილით ეტყვის) გმადლობთ. (სვამს წყალს. მიაწვდის უკანვე ჭიქას და ოდნავ თვალს უზამს. პროპორიევი თვალის მოჭუტვითვე აძლევს პასუხს) ჰო, რას ვამბობდი, სულ გადამავიწყდა!

პროპორ. რაღაც აზრს დაადექიო.

ელენე. ჰო, მართლა, იმ აზრს დავადექი, რომ... ღმერთო! სულ გადამავიწყდა. არა, რა სასაცილოა, ჩვენ ხომ მარტონი დაგვტოვეს.

პროპორ. ბედი მწყალობს და მაბედნიერებს.

ელენე. ჩვენი ერთად ყოფნა განა თქვენთვის ბედნიერებაა!

პროპორ. (ამოუჯდება) მაშ არ იცოდით განა? არა, არა, ნუ თვალთმაქცობთ, არ იცოდით ვითომ?

ელენე (ხელებს გაასავსავებს) ვუი, ვუი, ნინო გიყვართ და მე-კი აგეთს

*) იხ. „ივერია“ №№ 175, 176, 181, 184, 187, 189, 192 და 195.

სახლ-კარი გაასინჯვინა. ამ ამბავმა ჩვენს გაჭირებულს ფუხარას გული გაუკეთა და დიდი იმედიც მისცა: იქნება რამე გვეშველოს, ტყის ხმარების წესი შესცვალონ და შეგვიმსუბუქონო. ნაშუადღევის სამს საათზე ბ-ნი მინისტრი ბათუმს წაბრძანდა.

*** იქიდამვე: ჩვენს სოფლებში საქონლის ჭირი ისე მძვინვარებს, რომ ზოგს ადგილას ოთხ-ფეხი სრულიად არ გაუშვა. შიში აქვთ, რომ ეს ჭირი ადამიანზე არ გადავიდეს. წელს სიცხემ ძალიან დაგვიზიანა სიმინდები. ზოგს სოფელში ისე დასწვა, რომ მოსავალი შარშანდელზე ბევრად ნაკლები მოუვათ.

*** 28 ამ თვისას, მეექვსე განყოფილებაში, სურბ-სარქისის ეკკლესიასთან, უპოვნიათ მიგდებული ბავშვი დედათა სქესისა, ხუთიოდე დღის დაბადებული. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 27 ამ თვისას ტფილისის მოქალაქე ბენიამინ ენფიანჯიანცი, სამოცის წლისა, როცა თავის ძმის თამბაქოს ქარხნიდგან სახლში მიდიოდა, წაიქცა კათოლიკეთა ქუჩაზე და მოკვდა. განსვენებული ჭლექით ყოფილა ავად.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენს გაზეთში შევეხო ბ.ნ. ი. ჩ—ძის წერილს („ივერია“ № 187).

ბ-ნმა ი. ჩ—ძემ აგვიწერა: ვარძიის დღეობა, წუნდა, თმოგვი და კუმურდო. სხვათა შორის ამბობს: „დღესასწაული ნამდვილი ქართულია, თუმცა უმეტესობა ბერძნები და სომხებია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მეტის-მეტი ვიწროობაა და კაცს თავისუფლად ვერ გაუვლია. აგრეთვე მეტის-მეტი პატარა აქვს ეზოში შესავალი კარი. ოდესმე ამისთანა კარი იყო საჭირო, რომ მტაცებელ მტრისაგან თავი დაეცვა მონასტერს; ეხლა, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანათ ვართ და შეიძლება უფრო გაგანიერდეს. აგრეთვე ცუდს არ იზამს ამ მონასტრის წინამძღვარი მ. სვიმონი, გამოქვაბულების წინ ვიწრო გზები და ეზოები გააგანიერებინოს და ამით თავისუფლება მისცეს მლოცველს ხალხს“.

ბ-ნი ჩ—ძე ნუ დაივიწყებს, რომ ტაძრის დღეობაზედ ხალხის მჭიდროება ყველგან არის, მაგრამ არსად არ დაურღვევიათ ტაძრის, გინა გალავნის კარები და არც გაუგანიერებიათ ეზოები. თუ მართლა ბ-ნს ჩ—ძის სურვილი შესრულდა, მაშინ ხომ შეეცვალა ვარძიას თავის ძველი ხასიათი, რომელიც ასე ძვირფასია და ყველა სარწმუნოების ხალხის მიმზიდველი. ამას არა თუ ქართველი, თვით მტრის ხელიც არ შეეხება...

თუ ვისმეს რამ გაკეთება სურს ვარძიაში, უფრო სხვაა საჭირო გაკეთდეს. მართალია, ვარძიაში უწინდელ გუმბათიანის სამრეკლოს ქვეშ უნდა გაიაროს ხალხმა. ჩასავალ ალაგას, სიძველისა გამო, ჩამომსხვრეული იყო გზა და ჩემ დრომდე თითო კაცი თუ გაივლიდა, მაგრამ 1885 წ. ეს გზა, რაც-კი მოეხერხებოდა, გავაგანიერე, ისე რომ დღეს საქენზედ მეტი აქვს განი. მეორე გზით, ესრედ წოდებულ «კაპანით», სადაც ცხენოსანი კაცი ვერ გაივლიდა უშიშრად, დღეს ეტლები და ფურგუნები დადის.

ბ-ნ ჩ—ძეს მოჰყავს წუნდის კედლის წარწერა: „სახელითა ღუთისათა მე ექვთიმე გურგენის ძემან ავაშენე ეკკლესია ესე მამულიანი სახელსა ზედა წმიდის ნათლის მცემელისა სალოცავათ ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს“.

ეს წარწერა მე თითონ წამიკითხავს, მაგრამ ექვთიმე გურგენის ძე არ არის. უნდა იყოს იოანე ბაგრატიონის ძე, რომელსაც აუშენებია იოანნე ნათლის მცემლის სახელზედ, როგორც სჩანს. მამულიანის მაგიერათ უნდა იყოს მამულსა ჩვენსა.

თმოგვის ციხეზე, ბ-ნი ჩ—ძე სწერს: „ეს ის ციხეა სადაც აბდულ-ყასიმი აურაცხელის ჯარით იძულებული გახდა უკუქცეულ-იყო და ყველის ციხეს გარს შემორტყმოდა, სადაც თავგანწირულებით თავს იცავდა ჩვენი წმინდა გობრონი თავის 200 მხედრით. ამანვე, ამბობს ბაგრატზე, ალაშენა აქ ვრცელი და მშვენიერი ეკკლესია, რომლის ნანგრევები ეხლაც მოჩანან“. „1319 წ. თმოგვს ეწვია დიდი უბედურება, ძრიელმა მიწისძვრამ სრულიად დაანგრია იგი და მას შემდეგ თავი არ აუწევია“.

მართალია, აბდულ-ყასიმს ეგრე დაემართა, მაგრამ ის-კი მართალი არ არის, ვითომ თმოგვი ბაგრატის აშენებული იყოს. აბდულ-ყასიმმა გობრონი აწამა 920 წ. (იხ. ა.ქ. ც—ბა, გვ. 196), არდანასე II-ს დროს, 881—923 წ. თმოგვის არე მარე, შიგნით და გარეთ, ჩემის თვალით დამითვალიერებია, მაგრამ იქ არ არის ისეთი „ვრცელი და მშვენიერი ეკკლესია“, როგორც იწერება ბ-ნი ჩ—ძე. იქ არის სულ 5, 6 მცირე ტანის ეკკლესიების ნანგრევნი. ერთში, რომელიც ყველაზედ კარგია, სწორედ XII საუკუნის მხატვრობა უნდა იყოს დაცული.

თმოგვი 1319 წლის შემდეგაც რომ არსებობდა, ამას გვიმტკიცებს სხვა-და-სხვა წარწერა სასაფლაოს ქვებზე.

ვახუშტი 1745 წელში თავის გეოგრაფიაში ამბობს: „თმოგვს კლდესაზედა, ციხე შენი, თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა“ (გვ. 30).

კუმურდოს შესახებ ბ-ნ ჩ—ძეს, მარტო ერთი წარწერა მოჰყავს, იმის აშენებას მიაწერს მარიამ დედოფალს. ჩ—ძე სწერს, ეკკლესიაზე შემდეგი ხელ-ნაწერია დაცულიო: „აღვაშენე ესე ნაშტი მე მარიამ დედოფალმა მღუდელმთავრობას ზოსიმე კუმურდოელისასა, ეკკლესია გაცილებით დიდია წუნდისაზე; აქვს სიგძე-სიგანე 40—40 ნაბიჯი“.

ამის შესახებ ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, მარტო შემდეგი მოვიხსენიოთ: საკურთხევლის დიდ ფანჯრის ზევით, გარედამ კედელზე, გრძელ წითელ ქვაზე მშვენივრად ხუცური ასო-მთავრული წარწერაა: „ეკკლესია ესე აღვაშენე იოანნე ეპისკოპოსმა“. ეს ყოვლად სასიქადულო ეკკლესია არის აშენებული აფხაზეთის მეფის ლევან III და ერისთავის ზვიადის დროს ამ იოანნე ეპისკოპოსისაგან 957—964 წ. და არა მარიამ დედოფლისაგან. თითონ ბ ნ ჩ—ძისაგან წარწერა მოყვანილი გვიმტკიცებს, რომ მარიამ დედოფალს, ბაგრატის დედას, მხოლოდ მიუშენებია ეკუდერი, ე. ი. „ნაშტი“ 1027—1040 წ.

აი, როგორ სწერენ, გინა იხსენებენ კუმურდოს, ისტორიკოსები: «წინას ზევით მინდორზედ სამხრეთით კუმურდოს ეკკლესიაა გუმბათიანი, ფრიად დიდი შენი, მშვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა» გეოგ. ვახ. გვ. 98 და ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე ამბობს: „მოქვის ტაძრის (აფხაზეთშია) აშენების დროს აშენებულია, როგორც წარწერა გვიმტკიცებს, იოანნე ეპისკოპოსისაგან, მშვენიერი ჯავახეთის ეკკლესია კუმურდო“. გვ 133.

კალისტრატე

## უცხოეთი

საფრანგეთი. ეფიქრებოდათ, რომ არჩევანის ციებ-ცხელებამ გამოფენას არა დაუშალოს რაო, მაგრამ ტყუილი შიში გამოდგა. პირ-იქით, არჩევანების დროს უფრო მეტი ხალხი მიაწყდა გამოფენას, როგორც უცხოელნი, ისე საფრანგეთის სხვა-და-სხვა კუთხიდამ მოსულნი. სექტემბრის 1 დამ 15-მდე გამოფენა ჰნახა 2.610,211 კაცმა. სულ $4^1/_2$ თვის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 14.859,970 კაცმა. პატარა დეკოვილის რკინის გზას 15 დღეში ენკენისთვის დამდეგს გადაუყვანია და გადმოუყვანია გამოფენის მიდამოზე 706 ათასი კაცი, მაშინ-როდესაც მთელს აგვისტოში ძლივს გადაუყვ გადმოუყვანია 1.201,723. წინად-კი ეგონათ, რომ გამოფენის სანახავად ხალხი უფრო ივლისში და აგვისტოში მოგვაწყდებაო. ის-კი არა თუ სექტემბერში უფრო და უფრო მატულობს გამოფენის ნახვის მსურველთა რიცხვი. ორთა შუა რიცხვით, ამ ორის კვირის განმავლობაში 140 ათასი კაცი ათვალიერებდა გამოფენას დღეში. რკინის გზები ველარ ასვლიან დიდძალს მუშტარს, თუმცა ბევრგან ერთი ორად და ერთი-სამადაც მიუმატებიათ ვაგონები. ლიონ-მარსელის რკინის გზას გადაუყვანია მარტო აგვისტოში 200 ათასის კაცით მეტი, ვიდრე შარშან აგვისტოში. ხალხთან ერთად დიდ-ძალი სანოვაგე და სასმელ-საჭმელი მიდის პარიჟში. რასაკვირველია, წინადვე ჰქონდათ ვარაუდი, რომ ეს ასე იქნებოდა, მაგრამ მაინც არ ეგონათ, თუ ამოდენა აუარებელი სასმელ-საჭმელი დასჭირდებოდა ქალაქს. ქალაქის გამგეობას ეგონა, რაც სანოვაგე შემოვა, იმის ბაჟი მოგვცემს 700—800 ათასს ფრანკს თვეშიო. ის-კი არა თუ რამდენი ხანია თვეში ორ მილიონ ფრანკზე მეტი შემოსდის პარიჟს ამ წყაროდამ. სასტუმროებში თავისუფალი ოთახი აღარ იპოვებოდა. მაღლა ქერის დაბალი სადგომებიც-კი გაივსო ყველგან პარიჟში ჩამოსულის ხალხით. უფრო სოფლელობაა ბევრი ამ შემოდგომის პირზე. სოფლელებმა მოუარეს წლის მოსავალს, რომელიც წელს ძალიან კარგი იყო, და ახლა სიხარულით სიამოვნობენ პარიჟში.

ინგლისი. ერთ ინგლისურ ჟურნალის სექტემბრის წიგნში რედაქციას დაუბეჭდია შესანიშნავი წერილი: „სამთა კავშირი და იტალიის ადგილი ამ კავშირში“. წერილს აწერია მოგონილი სახელი „Outiganos“-ისა. გაზეთები ამბობენ, რომ ამისთანა რამ დიდი ხანია არა დაბეჭდილა-რა პოლიტიკის შესახებაო. უცნობს ავტორს ეტყობა, რომ დიდი გამოცდილი პოლიტიკოსია და საკვირველი მოაზრე და მკვლევარის გონების პატრონიო. ყველა კითხულობს, ვინ არის ის უცნობი ავტორიო. ლიბერალების გაზეთი „Daily News“-ი ამბობს, რომ წერილს ზედვე ეტყობა, ვისიც არისო. ის მეგობარი, რომელიც არიგებს იტალიას, როგორ მოიქცეს, არის ის სახელმწიფო მოღვაწე და ის ღრმად მოაზრე კაცი, რომელმაც დიდხანს და დიდის მჭევრმეტყველებით გაუწია სარჩლი და მით მთელს ქვეყნიერობაში დაჰბადა თანაგრძნობა და გულმტკივნეულობა იტალიისადმი და რომელმაც ასეთის თავ-გამოდებით შეაძლებინა იტალიას დამოუკიდებელ ერად გადაქცეულიყოვო. სამთა კავშირის შესახებ დაწერილი წერილი იმისი დაწერილია, ვინც დასწერა წერილები ნეაპოლის საპატიმროების თაობაზე, ესე იგი გლადსტონისა, ამ იტალიის უკეთესის მეგობარისა ყველა იმ მეგობართა შორის, რომელიც-კი ჰყოლია, ან ეყოლება ოდესმე ამ ქვეყანასაო...

მაგრამ რა სწერია წერილში? იქა სწერია, რომ ევროპის სურათი მეტად ბნელია და ბურუსით მოცულიო.

---

სიტყვებს მეუბნებით!.. აბა ამას იქით კაცებს კიდევ უნდა ენდოს ვინმე?

პროპორ. თანახმა ვარ, ცუდად ჩავდივარ, მაგრამ რა გაეწყობა. თქვენ-კი მაინც დაიჯერეთ, ორივესთვის კარგი იქნება. გჯერათ?

ელენე. რა უნდა დავიჯერო?

პროპორ. ის, რომ მოჯადოებული და მოთილისმული ვარ.

ელენე. ვინ მოგაჯადოვათ? თქვენმა მშვენიერმა...

პროპორ. (ვნებით გატაცებულსავით) თქვენა.

ელენე. ასე ჩქარა?

პროპორ. განა დიდი ხანი უნდა, რომ ელვამ გაიელვოს? ერთი თვალის დახამხამება კმარა და ცეცხლი გაჩნდება კიდეც. მერე რომელი ელვა შეედრება თქვენს თვალებს?

ელენე. განა ისეთი ლამაზი თვალები მაქვს?

პროპორ. თქვენ ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი გაქვთ.

ელენე. ვითომ, არა ხუმრობთ?

პროპორ. ამისთანა საქმეში მე ხუმრობა არ მიყვარს.

ელენე. ახ, ღმერთო, ჩემი ქმარი?!

პროპორ. (ოდნავ მოუსვევს) შორს არის, ვერას გაიგებს.

ელენე. არა, არა... არასოდეს!

პროპორ. ერთი კოცნა...

ელენე. თქვენ, ადამიანი-კი არა, გრძნეული ხართ, ჯადოქარი. (პროპორიევი ჰკოცნის)

არინა. (თავს გამოჰყოფს კარებიდგან) მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეხლავე გიახლებით. (მიიმალება)

ელენე. ღმერთო! ხომ დამღუპეთ!

პროპორ. (ჰკოცნის) ნუ გეშინიანთ, ბეცია და ვერას დაინახავდა.

ელენე. გაგონებით ხომ გაიგონა.

პროპორ. მარჯვენა ყურით მძიმედ ესმის. სად ვნახავთ ერთმანეთს და როდის?

ელენე. დღეს სალამოს, საზაფხულო კლუბში, ფარდულთან, მეორე ხეივანში. (კარების რაკუნი და კურჩინის ხმა ისმის: „შეიძლება შემოვიდე?“) ახ, ჩემი ვეტიხია! (კურჩინი შემოდის)

III

ისინივე და კურჩინი

კურჩინი. ვერა ჯერ არ დაბრუნებულიყო და ბარათი დავუტოვე. გამარჯობათ, ბატონო გიორგი. ე ჩვენი საყვარელი მასპინძელი სადღა ბრძანდება?

პროპორ. ირინამ მითხრა, რომ ეხლავე გამოვალო, და აი, იმას მოველოდებით. ერთი რჩევა უნდა მოგცეთ, თქვენო აღმატებულებავ?

კურჩინი. რა რჩევა?

პროპორ. არას დროს არ უნდა დაჩქარდეთ ხოლმე.

კურჩინი. რაო, რას ამბობთ? არ მესმის, მე ისეც დავიგვიანე-და.

პროპორ. არც ეგ არის კარგი, სწორედ დროზედ უნდა მოხვიდეთ ხოლმე.

ელენე. ჯერ არ მახსოვს, რომ დროზედ მოსულიყოს როდისმე. არა, სად დაიკარგე აქამდის?

კურჩინი. როგორ თუ სად დავიკარგე? შენ არ გამგზავნე პოლიცმეისტერთან.

ელენე. ელაპარაკე?

კურჩინი. როგორ არა, ყველაფერი გადვუშალე და ვუამბე.

ელენე. მერე, რა გითხრა?

კურჩინი. ის მირჩია, რომ ჯანდარმის პოლკოვნიკი ჰნახეთო.

ელენე. იყავი?

კურჩინი. წავედი და იმასაც ყველაფერი ვუამბე.

ელენე. იმან რაღა გითხრა?

კურჩინი. პროკურორთან გამგზავნა.

პროპორ. პროკურორსაც ხომ ყველაფერი უამბეთ?

კურჩინი. ვუამბე.

ელენე. მერე, რაო?

კურჩინი. მომრიგებელ-მოსამართლეს მიჰმართეთო. იმასთან-კი ხვალ წავალ, ჯერ პური არ მიჭამია.

ელენე. ეგ რაღა სისულელეს აიხირებ ხოლმე! ეხლავე წაბრძანდი.

კურჩინი. კარგი, წავალ, სულიკო, მაგრამ ეხლა ისიც სადილად იჯდება, ისეთი დროა. (მიდის. ნინო შემოდის. ელენე მიეგებება)

IV

ისინივე და ნინო

ელენე. ძლივს!.. ღმერთო, რა დაგმართვიათ? სახეზედ ფერი არ გადევთ. (პროპორიევი ჩუმად თვალ-ყურს ადევნებს)

ნინო. არ მენახა მაინც. ამდენის წლის უიმედო, უნუგეშო ცხოვრების შემდეგ ადამიანმა მხურვალე ალერსი იგემოს... და მერე ისევ მარტო დარჩეს, ისევ უწინდელებრ იცხოვროს... სიკვდილი სჯობია, ათას წილად უმჯობესია.

ელენე. დამშვიდდით, ჩემო ძვირფასო, გული დაიწყნარეთ.

ნინო. არა, როგორ ჰბედავენ, რომ გვაშორებენ ერთმანეთს. მარტო თითონ იმას აქვს უფლება შემიძაგოს და შემიძულოს, მაგრამ იმას-კი ისევ ვახსოვარ, ისევ ვუყვარვარ... მაშ რა უნდათ ჩემგან? ისინი ეალერსებიან, თავს ევლებიან ჩემს ქალს, ჩემს ღვიძლს შვილს, ჩემს ნაშობს, და მე-კი ნება არა მაქვს, რომ იმასთან ერთად გულში დადუღებული ნაღველი ცრემლად ვაფრქვიო... მეც მინდა მიყვარდეს, ვუალერსო, თავი ვანაცვალო, კერპად ვიქციო და ვათაყვანო, იმიტომ-რომ იმის მეტი აღარავინა მყავს, იმიტომ-რომ იმისი სიყვარულია, იმისი ალერსია... ერთად-ერთი ბედნიერება, ერთად-ერთი ნათელი შუქი ჩემს მწყვდიადითა და უკუნით სავსე ცხოვრებაში. იმათ სხვა სიყვარულიც უძგერებთ გულს და მე-კი იმის მეტი არავინა მყავს... თი-

იზრდება ვალები სახელმწიფოებისა და თან მაინც კიდევ მატულობს შეთოფ-იარაღება. კავშირი მშვიდობიანობის დაცვისათვის მართლა საჩინო რამ იქნებოდა, რომ შეიძლებდეს თავის სურვილის შესრულებასაო. საქმეც ეგ არის, რომ ვერ შეიძლებს და ვერ შეიძლებს იმიტომ, რომ ამ სამთა კავშირს ადვილად შეებრძოლება რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი, რომელიც, მართალია, არ არსებობსო, შეკრული არ არის, მაგრამ ყოველთვის ადვილად შეიძლება შეიკრასო. მხოლოდ თუ ინგლისი ჩაერია სამთა კავშირში, მაშინ გამრუდდება სასწორი და ძალა გადაიწევს ოთხთა კავშირისაკენაო. თუ საფრანგეთმა შურის საძიებლად დაიწყო ომი და ელზას-ლოტრენის დაბრუნება მოინდომა, მაშინ ეს ომი უსამართლო ომი იქნება და საშიშიც ინგლისელების თავისუფლებისათვის ხმელთა-შუა ზღვაზეო. მაშინ ინგლისი იძულებული იქნება თითონაც ჩაერიოს ომში, რომელსაც სხვა სახელი არ დაერქმის იმის მეტი, რომ იგი იქნება ყოვლად უპატიოსნოვო.

„Outiganos“-ი მერე გერმანიისა და საფრანგეთის შესახებ ლაპარაკობს. გერმანია ყოველ გვარ ღონისძიებასა სცდილობს, რომ ხელიდამ არ გაუშვას ელზასი და ლოტარინგიაო. თუ იმისმა ცდამ ამაოდ ჩაიარა, თუ ელზას-ლოტრენმა გაუწოდა ხელი და შეევედრა შემწეობას თავის ძალით მოშორებულს დედას, შეუძლიან განა საფრანგეთს უარ-ჰყოს და არ შეიწყნაროს ელზას-ლოტრენის ვედრება? ჯიბრი და ქიშპი საფრანგეთსა და გერმანიას შორის და რუსეთსა და ავსტრიას შუა, გასაკვირველი-კი არა, უფრო შებრალების ღირსია. რაიცა შეეხება იტალიას, ვერ გაუგია კაცს რა საქმე აქვს იმას სამთა კავშირში.

ავტორის აზრით, „იტალია სრულიად არაფერს შუაშია იმ დავიდარაბაში, რომელიც დიდ სახელმწიფოებსა აქვთ ატეხილი ერთმანეთშიო. „გულ-ახდილი ლაპარაკი სჯობია ამისთანა შემთხვევაში. ამიტომ არ შევდრკებით და ვიტყვით, რომ იტალიის მონაწილეობა სამთა კავშირში დიდი საპოლიტიკო სულელობა და უგუნურებაა, უგუნურება იმდენადვე უცნაური, რამდენადაც გასართობი. ეგ უგუნურება სასაცილოც-კია, რომ ისე საუბედურო არ იყოს. იტალიამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამით, რომ ნამდვილი ამბავი უფრო უცნაურია ხოლმე, ვიდრე გაგონილი“.

იტალიის ფინანსები ეხლა ისეთს ყოფაშია, რომ ამ ქვეყანას ნება არა ჰქონდა ასე ძვირად დამჯდარი შეცდომა ჩაედინა. 25 წელიწადი არ არის მას აქეთ, რაც დამოუკიდებლობა შეიძინა და ამ ხანში ერთი-სამად გაუმატა ხარჯსა და ბეგარას, დაიწოლა უფრო მეტი ვალები, ვიდრე ინგლისსა აქვს, და იმ საზღვარამდე მივიდა, როცა ორი და სამი ნაბიჯი აღარა რჩება გაკოტრებამდე. „Outiganos“-ი მიჰმართავს იმის გრძნობას მოვალეობისას, კეთილ-გონიერებისას და მადლობისას, რომელიც უნდა აკავშირებდეს იტალიასა და საფრანგეთსა. იტალიის დამოუკიდებლობა საფრანგეთის დიდ-სულოვნობის შედეგი იყო და ეს დიდი დავალება იტალიას იმისთვის ჯერ არაფრით არ გადაუხდია. უკეთუ იტალიამ ხელი გამოიღო საფრანგეთის წინაამდეგ, იმის ისტორიაში ჩაიწერება საშინელი და სამარცხვინო სკანდალი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პოლიტიკის ამ დიდს საგანში იტალიის მთავრობა არ არის ჭეშმარიტი წარმომადგენელი ერისაო.

ასეთია ის წერილი, რომლის შინაარსი ჯერ-ჯერობით ასე მოკლედ არის მოთხრობილი გაზეთებში. ნამდვილად ამბობენ, და ეჭვიც არ უნდა იყოს, რომ ეს საკვირველის ძლიერების პამფლეტი დაწერილია ინგლისის ლიბერალების მეთაურისაგან. ამისთანავე აზრები ბევრჯელ გამოუთქვამთ ზოგიერთს გაზეთებს, რომელნიც არა ჰგონებენ, რომ გერმანიის პირველობა დაიხსნიდეს ევროპას ყველა გაჭირებიდამ, ან რომ ეგ იმისი პირველობა თავ-მდები იყოს ევროპის მშვიდობიანის წარმატებისა. ხოლო რა-კი ამავე აზრებს ამბობს და ამბობს ისეთის სიმედგრითა და სიძლიერით ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეცა და ისიც კვერს უკრავს იმ გაზეთებს თავისის უმაღლესის ავტორიტეტით, ცხადია, თვით ცხოვრებაშიაც სახეში იქმნება მიღებული იგი აზრები პოლიტიკოსების მიერ. ამ მხრივ არის დიდად შესანიშნავი ის წერილი, რომელიც დაბეჭდილია „Contemporary Review“-ის სექტემბრის წიგნში.

## წვრილი ამბები

საქსონიის ერთს პროვინციალურს გაზეთს ერთის ცუდის რომანის ბეჭდვა უნდოდა და მკითხველების მოსაზიდავად შემდეგი რეკლამა გაუკეთა თურმე. აუწყა გაზეთით მკითხველებს, რომ რომანის ბეჭდვა რომ დავიწყეთ, ავადმყოფმა ქ-ნმა NN დიდის სიამოვნებით წაიკითხა ამ წიგნის პირველი ნაწილი. ამას შემდეგ წერილი მივიღეთ იმ ქალისაგან, რომ ექიმებმა გამომიცხადეს, სიკვდილს ვერ ასცდები ამ რამდენსამე დღეში, მაგრამ ისე არ მინდა მოვკვდე, რომ თქვენს გაზეთში დაწყებული რომანი არ გავათავო და ბოლომდე არ ჩავიკითხოვო. ამიტომ გთხოვთ, სტამბაში ცალკე დაამბეჭდინოთ განსაკუთრებით ჩემთვის რომანის დასასრული და გამომიგზავნოთ წასაკითხადაო. რედაქციამ მომაკვდავს სურვილი შეუსრულაო.

— ბაზელის პოლიციას ამას წინად დაუპატიმრებია ამ ქალაქში სამი მაწანწალა თოთხმეტის წლის ბიჭი, რევოლვერებითა და მონტე-ქრისტეს თოფებით შეიარაღებული. ცოტაოდენს ყოყმანს შემდეგ ამ ყმაწვილებს გამოუცხადებიათ, რომ ბერლინიდგანა ვართ წამოსულნი და მშობლებს გამოვეპარეთ, რომ სხვა-და-სხვა ქვეყნები ვნახოთ და დავათვალიეროთო. ერთის ამ მოგზაურის მამათაგანი მეყავახანეა, მეორესი — ჩოთქების მკეთებელი და მესამე კიდევ შვილია დურგლისა. სამივენი საქალაქო სასწავლებლის ერთსა და იმავე კლასში ყოფილან და ერთად უსწავლიათ. სამგზავრო ფული მეყავახანეს შვილს უშოვნია, მშობლებისაგან მოუპარავს.

— ორიენტალისტთა კონგრესის გამო შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარს პროფესორის ცოლს რეინიშს ცოლისთვის ოქროს მენდალი მიუბოძებია შემდეგის ზედ-წარწერით: „მეუღლეს პროფესორის ცოლს რეინიშსას ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მოგზაურობისათვის“. ეს მენდალი ამ ქალმა გავას ლენტზედ უნდა ატაროს. მენდალთანვე მიბოძებული აქვს წერილი მეფის ოსკარისა.

— ჰამბურგში დაიწყო თურმე გამოსვლა ერთმა ახირებულმა გაზეთმა, სახელად „Zeituug fur Manner“-მა, რომელიც განსაკუთრებით მამაკაცებისთვის არის დანიშნული. გაზეთის მეთაურს წერილში ნათქვამია, რომ ყველა წოდებასა და მრეწველობას თავისი გაზეთი აქვს, ყმაწვილებისა და ქალებისათვისაც-კი არსებობს ჟურნალები, მარტო მამაკაცებს არა აქვთ საკუთარი გაზეთი, თუმცა ცოტა საგანი არ არის ისეთი, რომლის განხილვასა და გამოკვლევას ეხლა ვერიდებით, ვერიდებით მარტო იმიტომ, რომ კაი თუ გაზეთი ქალებსა და ბავშვებს ჩაუვარდეთ ხელში და არ ივარგოსო. ეხლა-კი ამ გაზეთს, განსაკუთრებით მამაკაცებისთვის დანიშნულს, შეუძლიან ყველას თავისი სახელი უწოდოს დაუფარავად, განიხილოს სხვა-და-სხვა სამედიცინო, იურიდიული და ზნეობრივი საგანი და ორ-აზროვანად არ ილაპარაკოს ხოლმეო.

— კათოლიკეთა ეკკლესიას ზოგიერთი მეთაური ძალიან გონება-მახვილი შეხვედრია. მაგალითებრ, ერთხელ ვიღაც ბელგიელს გრაფს პაპის ლეონ მე-XIII, როცა იგი ჯერ კიდევ პეკკის კარდინალად ყოფილა, გაჯავრება სდომებია, მშვენიერის ტიტველა ქალის სურათი უჩვენებია და უკითხავს, როგორ მოგწონთო. კარდინალს ხმა-ამოუღებლივ გაუსინჯავს და უთქვამს: „ლამაზი ქალია, ალბად თვით თქვენი მეუღლე იქნებაო“. ამ პასუხს კარდინალისას სიცილი გამოუწვევია, რადგან მთელს საზოგადოებაში ყველას სცოდნია, ან გაუგონია, რომ გრაფსა და იმის მეუღლეს ტკბილი ცოლ-ქმრობა არა ჰქონიათ. — როცა ნაპოლეონ მე-III სედანში დამარცხდა, პაპამ პიო მე-IX წამოიძახა თურმე: „Ah! Napoleon a perdu ses dents“. (ახ! ნაპოლეონს კბილები დასცვივდაო). — პაპა ინოკენტ მე-X ეწვია თურმე ერთხელ ერთი კაცი, ალქიმიის მცოდნე, და უთხრა, რომ ერთი ქვა მაქვს და იმის საშუალებით ოქროს გაკეთება შეიძლებაო. პაპას ისე უჩვენებია თავი, ვითომ მჯერა და მწამსო. ქიმიკოსი საჩუქარსა და ჯილდოს ელოდდა თურმე. პაპი შესულა მეორე ოთახში, ცარიელი პარკი გამოუტანია და მიურთმევია. „თქვენო უწმინდესობავ, ეს პარკი ცარიელია მგონიო“, უთქვამს ალქიმიკოსს. — „მართალიაო. იმისათვის, ვინც ოქროს კეთების ხელოვნება იცის, მარტო ცარიელი პარკი-ღაა საჭირო ოქროს შესანახადაო!“ უპასუხნია პაპის.

## დეპეშა

28 სექტემბერი

კილი. დღეს ნაშუადღევს, ოთხი საათი რომ შესრულდა, კილში მოვიდა საიმპერატორო იახტა „დერჟავა“. როცა იახტა რეიდში შემოვიდა, სამხედრო გემებმა და მათ შორის ინგლისის ესკადრამ წესისამებრ სალამი მისცეს. ამასთანავე რუსის სამხედრო დროშა გამოჰფინეს.

ვენა. იმ ამბავმა, რომ პრინცი კობურგისა სოფიიდგან მოულოდნელად წავიდაო, აქ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ამბობენ, ვითომ პრინცსა და სტამბულოვს უსიამოვნება მოსვლიათ სესხის გამო. პრინცი შინაურულად მოვიდა და ჰნახა ნაჩევიჩი და თავისი დედა პრინცესა კლემენტინაო.

პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბ.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდველ-ნი. | გაურიგ-დნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 66 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 261½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 238½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 98¼ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83¾ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თითრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . 3½ „
„ 2 „ 3 „

---

თონვე მეძახის, მეძებს.. ძლივს მელირსა, ძლივს ერთისთვის საყვარელი და ძვირფასი შევიქენი .. და აი სწორედ ამ დროს ჩვენს შუა უცხო ადამიანი დგება, უცხო ჩემთვისაცა და იმისთვისაც, ჩემს შვილს ეპატრონება... ჩემის სახლიდგან მისტუმრებს! (სიმულილით) არა, ვერ ვაპატიებ მე ამას, ვერ შევუნდობ! ჩქარა დარწმუნდება ის ქალბატონი, რა ბასრი და მჭრელი ბრჭყალებიცა აქვს დაკოდილს ნადირს. (ბიკაევისა შემოდის) ან ჩემსას ავისრულებ და ან თავს ვანაცვალებ ამ საქმეს, ზედ შევაკვდები.

V

ისინივე და ბიკაევისა

ბიკაევისა. ჯერ იმედი დაკარგული არ არის.

ელენე. რაო, ახალი შეიტყვეთ რამე?

ბიკაევისა. უკანასკნელი ღონე ვიხმარე... და წაველი იმ ქალბატონთან. რაღა თქმა უნდა, შეურაცხების მეტს ვერას გავხდი... იმის გაქვავებულსა და გაკლდევებულს გულს განა სინანული ააძგერებს?.. ამანაც რომ არა მიშველა-რა, სოფიოსთან გავიქეცი და დავაფიცე, რომ ნინოს შენ გაუხდი-მეთქი მწედ და მფარველად. ხვალ საათის პირველზედ გელით. იმასთან ერთი ვინმე იქნება, ისეთი ვინმე, რომელსაც ყველაფრის მოხერხება შეუძლიან, სუყველაფრისა. მე, ელენე, ფატეევისა, პავლა და ელისაბედიც იქ მოვიყრით თავს.. და მაშინ ვნახოთ რაღას იტყვის ჩემი მშვენიერი მამიდაშვილი! ორი დღე არ გავა, რომ თქვენ ისევ თქვენს ოჯახს დაუბრუნდებით, თქვენ ქალთან იცხოვრებთ. ისინი-კი, დეე, თუნდა ცხრა მთას იქით გადაცვივდნენ და თავიანთის სიყვარულით იქ დასტკბნენ. თუ თავის ნებით არ მოისურვებენ მიბძანებას, ოც-და-ოთხს საათში გავდევნით და გავაძევებთ აქედგან. ეხლა-კი მოისვენეთ, გული გულის ალაგას დაიყენეთ და ღონე მოიკრიფეთ, ილოცეთ, შეევედრეთ ღმერთს, ჩემო ნინო, და სასოს ნუ წარიკვეთთ. ნახვამდის!

ნინო. მიშველეთ რამე, ვერა, თორემ გავგიჟდები... თავს არ ვიცოცხლებ... (ბიკაევისა ანუგეშებს) არა, არ მომცემენ, ვიცი, არ მომცემენ... ვუთხარ, განგათავისუფლებ-მეთქი, და უარი მითხრა. დავპირდი, რომ ისე მოვექცევი იმ დედაკაცს, როგორც ჩემზე უკეთესსა და უპირატესს, პატივისცემას არ მოვაკლებ-მეთქი, მაგრამ არა ჰქნა, პირ-იქით, შეურაცხმყო კიდეც. ეს არის ეხლა ანეტა ემუდარებოდა, რომ ნუ მომაშორებ დედასაო, მაგრამ აქაც ძალა იხმარა.. რა ვქნა, რა, რა თავში ქვა ვიცე?.. ვიცი, გამოცდილი მაქვს: ის რომ ეხლა ჩემთან იყოს, ჩემს ხელში, ვერავითარი ამ ქვეყნიური ძალა ვერ წამართმევდა და ვერ მომაშორებდა... ეხლა-კი ყოველივე იმედი გამიქარწყლდა. არა, სჩანს, როგორც უბედური ვიყავ და ვარ, ისე უბედურად უნდა დავლიო ჩემი დღენი (ტირის)

ელენე. თვალი ვერ მოგიშორებიათ მაგისთვის და ამიტომ საშინლადა მძულს.

პროპორ. საღამოზედ ყველაფერს აგიხსნით.

ელენე. ეხლავე სახლში გამაცილეთ.

კურჩინი. (პროპორიევთანა და ცოლთან მივა) რაზედ ჩურჩულებთ ე მანდ?

პროპორ. თქვენი მეუღლეც უკანასკნელ ღონის ხმარებას აპირებს ამ საქმის მოსაგვარებლად.

კურჩინი. ძალიან კარგი იქნება! დროა! იმისთანა ქმარი...

პროპორ. მართალს ამბობთ, იმაზედ უარესი და უუსაძაგლესი ქმარი ძნელად თუ სადმე იყოს-ღა.

ბიკაევისა. აბა, ელენე, ეხლა-კი მარტო დავსტოვოთ ნინო. ახ! ჭეშმარიტის გულის წყლულის მკურნალი და მესალბუნე ღმერთია და არა ადამიანის ნუგეში.

ნინო. მაპატიეთ, საყვარელო ელენე, ძალიან მოგიქანცე.

ელენე. (ჰკოცნის) მესმის, განა ვერა გხედავთ: მოისვენეთ, ღონე მოიკრიფეთ, სასოს ნუ წარიკვეთთ და იმედი გქონდეთ, ღმერთი არ დაგკარგავთ. ევტიხი, შენ მოსამართლეს თან წადი, მე-კი ბატონი გიორგი მიმაცილებს სახლამდე.

კურჩინი. ეხლა ხომ სულ უდროვოა. ჯერ ერთი, ბატონს არხიპს ეხლა ეძინება კიდეც, და მეორე — მოსამართლე რაღა საჭიროა, რაკი ამ საქმეს სოფიო კისრულობს. ის ისეთი დედაკაცია, რომ, მოსამართლეებს-კი არა, თვით სოლომონ ბრძენსაც კაბის ნაოჭში გამოიხვევს და ისე ატარებს.

ელენე. თუ ღმერთი გწამს, უთავბოლო ლაპარაკს თავი დაანებე. გუნდას მანამ უნდა ჩაკვრა...

პროპორ. სანამ თორნე ცხელიაო. ჭეშმარიტებასა ბრძანებთ. წადით, ჩემო მეგობარო, და თქვენი მეუღლე მე მომანდეთ. დარწმუნებული იყავით, რომ არ მოვაწყენ და კარგად გავართობ.

კურჩინი. კარგი, რა გაეწყობა. ნახვამდის, ბატონო ნინო. ნურას ინაღვლებთ, ღმერთი მოწყალეა. (გადის)

ელენე. ხვალ პირველ საათზედ. (ემშვიდობება ნინოს) დამშვიდდით; ჩემო ანგელოზო. ყველა დედაკაცები უუბედურესნი არსებანი ვართ.. აი, მეც ჩემს ქმართან ვცხოვრობ, მაგრამ... ეჰ, გიამბობთ როდისმე ჩემს ამბავსაც, არც ის არის ფიანდაზით მოფენილი. დროა, ნახვამდის! ხვალ პირველს საათზე ვნახავთ ერთმანეთს. (პროპორიევი ხელს გაუწოდებს და ერთად გავლენ.)

ჟ.-ანი

(შემდეგი იქნება)

თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში „
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათო-ბით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვორო-სიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სო-ხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატო-ლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარა-სკევობითა და კვირაობით. რაკი გე-მი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მო-დიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი:

## ქართული თეატრი
(1879—1889)
ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცე-ნის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაო-ბის მაგივრად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატიული ხელოვნე-ბა. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—7)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ჟანნა-დარკ. . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . | „ | 5 |
| ქართული თეატრი . . | „ | 40 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპო-ვება, და გარდა ამისა ახლად შეძენი-ლი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ვეფხ-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგა-დოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ სა-ზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურ-ბნელისა, იმავე საზოგა-დოების გამოცემა . . | „ | 20 |
| გრამატიკა, არ. ქუთათე-ლაძესი . . . . . | „ | 40 |
| გრამატიკა, ქორდანიასი . | „ | 55 |
| მიბაძვა ქრისტესი, უყდოდ. | „ | 40 |
| ყდით . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩე-ულოვისა. . . . . | „ | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკით-ხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთა-ვისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივე-რიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამა-ტიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამ-ბაშიძისა. . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამო-ცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ღედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგ-მანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგე-დია, ი. მაჩაბლის ნათარ-გმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრე-ბიდამ მე გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუ-ლისაშვილისა . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტია-შვილისა . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . | 3 | „ |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გა-მოცემა ღამბაშიძისა . . | „ | 5 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწო-ვარ ყმაწვილსა, გადმოკეთე-ბული ივ. გაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნა-ვასი . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანა-შვილისა. . . . . | „ | 10 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექ-სები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთ-სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპი-რისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| რუსულ-ქართული ლექსი-სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| კონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტა-ტიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხ-რობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტა-მენტის მიერ.



## არყის ხის ბალზამი დ—რის ლუნვილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოეს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. ბურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—30)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვი-ლის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბან-კის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი და-ეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღა-ზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვესის სნეულებას, ნერვესის ქარსა და კონ-ტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამ-დე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მი-ხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პო-პოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (14—9)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრეს-ზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანა-თი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნე-ბა. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერ-დი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალო-ბაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქ-ციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვი-თონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Дов. ценз. Тифлисъ 29-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე